საკანონმდებლო მაცნე

დეკემბერი 2023
[NO.11] www.bdo.ge

შინაარსი

- ფიზიკური პირის მიერ ბინის რეალიზაციით მიღებული ნამეტი შემოსავალი
- მოკლე ტექსტური შეტყობინება წარდგენილ საჩივრებზე
- გაცვლის ოპერაცია და დღგ-ით დაბეგვრა
- გადამხდელის ზომითი კატეგორიის განსაზღვრის, გაუქმების და აღრიცხვის წესი
- საპენსიო შენატანების ვადის ცვლილება

ცვლილება ბრძანებაში

ფიზიკური პირის მიერ ბინის რეალიზაციით მიღებული ნამეტი შემოსავალი

2023 წლის 7 ნოემბერს გამოქვეყნდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №412, რომლითაც ცვლილება შევიდა „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში.
ცვლილება შეეხო აღნიშნული ბრძანების 111[2] მუხლს, რომელიც არეგულირებს საცხოვრებელი ფართობის გამქირავებელ პირთა რეესტრის წარმოების და საცხოვრებელი ფართობის იურიდიულ პირებზე გამქირავებელი პირების მიერ საგადასახადო შეღავათით სარგებლობის წესს. შეიცვალა აღნიშნული მუხლის პირველი პუნქტი. ცვლილების შედეგად დაზუსტდა, რომ საცხოვრებელ ფართობში იგულისხმება მშენებარე ბინაც (სახლი).

ამავე ცვლილებით აღნიშნული ბრძანების 33-ე მუხლის მე-7 პუნქტს დაემატა ახალი „მაგალითი 1“. ახალი მაგალითის მიხედვით განისაზღვრა, რომ თუ ფიზიკური პირის მიერ რეალიზებული ბინა რეალიზაციის მომენტისათვის წარმოადგენს მშენებარე ობიექტს და შესაბამისი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი არ არის მიღებული ექსპლუატაციაში, მიუხედავად ამისა, ითვლება, რომ ადგილი აქვს ფიზიკური პირის მიერ საცხოვრებელი ბინის რეალიზაციას, ვინაიდან მასთან დაკავშირებით გაცემულია მშენებლობის ნებართვა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობაზე და ბინის რეალიზაციის მომენტისათვის, შემძენს ფაქტობრივად გადაეცემა ბინის დანიშნულებისამებრ გამოყენებისათვის საჭირო ყველა უფლება, რომელიც მას მიანიჭებს ფაქტობრივი ფლობის, სარგებლობისა და განკარგვის შესაძლებლობას.

ცვლილება ძალაშია 2023 წლის 8 ნოემბრიდან.

ცვლილება ბრძანებაში

მოკლე ტექსტური შეტყობინება პირის მიერ წარდგენილი საჩივრის განხილვის ეტაპების შესახებ

2023 წლის 7 ნოემბერს გამოქვეყნდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №413, რომლითაც ცვლილება შევიდა „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში.

ცვლილება შეეხო აღნიშნული ბრძანების მე-13 მუხლს, რომელიც ეხება ელექტრონულ საჩივრებს. აღნიშნული მუხლის მე-3 ქვეპუნქტი ჩამოყალიბდა განახლებული რედაქციით. ცვლილებამდე, პირს ინფორმაცია მის მიერ წარდგენილი საჩივრის განხილვის ეტაპებისა და განხილვის შედეგების შესახებ მიეწოდებოდა მოკლე ტექსტური შეტყობინების სახით, რაც არ ათავისუფლებდა დავის განმხილველ ორგანოს იმ ვალდებულებისგან, რომ მომჩივანისათვის დამატებით წერილობით შეეტყობინებინა საჩივრის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების შესახებ. აღნიშნული ვალდებულება დავის განმხილველ ორგანოს აღარ ექნება, ვინაიდან ახალი რედაქციით განისაზღვრა, რომ პირს (გარდა არარეზიდენტი ფიზიკური პირისა) ინფორმაცია მის მიერ წარდგენილი საჩივრის განხილვის ეტაპების შესახებ მიეწოდება მხოლოდ მოკლე ტექსტური შეტყობინების სახით.

ცვლილება ძალაშია 2023 წლის 7 დეკემბრიდან.

გაცვლის (ბარტერულ) ოპერაციის დროს ანაზღაურების გადახდისას საქონლის მიწოდებამდე მომსახურების გაწევამდე დღგ-ით დაბეგვრის საკითხი

2023 წლის 29 ნოემბერს გამოქვეყნდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №446, რომლითაც ცვლილება შევიდა „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში.

მოგეხსენებათ, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 163-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, თუ თანხა სრულად ან ნაწილობრივ ანაზღაურებულია საქონლის მიწოდებამდე/მომსახურების გაწევამდე, ანაზღაურებული თანხის შესაბამისი დღგ-ის გადახდა ხორციელდება ანაზღაურების თანხის გადახდის საანგარიშო პერიოდის მიხედვით. თავის მხრივ, აღნიშნული ბრძანების 48^1 მუხლი უფრო დეტალურად განსაზღვრავს ანაზღაურების დღგ-ით დაბეგვრის საკითხს საქონლის მიწოდებამდე/მომსახურების გაწევამდე.

ცვლილების შედეგად, აღნიშნული ბრძანების 48^1 მუხლს, დაემატა ახალი მე-5 პუნქტი. ახალი პუნქტის თანახმად კი, განისაზღვრა, რომ ამ მუხლით გათვალისწინებული წესი და პირობები, ვრცელდება გაცვლის (ბარტერულ) ოპერაციებზეც როგორც ფულადი, ასევე საქონლის/ მომსახურების სახით ანაზღაურების გადახდის ნაწილში და ექვემდებარება საქონლის მიწოდებამდე/მომსახურების გაწევამდე დღგ-ით დაბეგვრას სანაცვლო მიღებული თანხა/საქონელი/მომსახურება.

შედეგად, უქმდება აღნიშნული ბრძანების 48^2 მუხლის პირველი და მეორე პუნქტები, რომელთა თანახმადაც, ცვლილებამდე ზემოთ ხსენებული წესი და პირობები არ გამოიყენებოდა საქონლის/მომსახურების გაცვლის (ბარტერული) ოპერაციის შემთხვევაში და ამ ოპერაციის დღგ-ით დაბეგვრა ხორციელდებოდა საქონლის მიწოდების/მომსახურების გაწევის მომენტში. საქონლის/მომსახურების გაცვლის (ბარტერული) ოპერაციებზე საქართველოს საგადასახადო კოდექსის 163-ე მუხლის მე-2 ნაწილი ვრცელდებოდა მხოლოდ აღნიშნული ოპერაციების ფარგლებში საქონლის მიწოდებამდე/მომსახურების გაწევამდე თანხის ნაწილობრივ ანაზღაურების შემთხვევებში, ანაზღაურებული თანხის ნაწილში.

ცვლილება ძალაშია 2024 წლის 1 იანვრიდან და მათი მოქმედება არ გავრცელდება 2024 წლის პირველ იანვრამდე დადებულ ხელშეკრულებებზე.

ცვლილება ბრძანებაში

გადასახადის გადამხდელისთვის სიდიდის შესაბამისი კატეგორიის განსაზღვრის, გაუქმებისა და აღრიცხვის წესი



2023 წლის 1 ნოემბერს გამოქვეყნდა სსიპ – შემოსავლების სამსახურის უფროსის ბრძანება №26626, „გადასახადის გადამხდელისთვის სიდიდის შესაბამისი კატეგორიის განსაზღვრის, გაუქმებისა და აღრიცხვის წესის შესახებ“ შიდა ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე. შედეგად ძალადაკარგულად გამოცხადდა შემოსავლების სამსახურის უფროსის №16734 ბრძანებით 2023 წლის 11 ივლისს დამტკიცებული ანალოგიური ინსტრუქცია.

მოგეხსენებათ, სიდიდის კატეგორიის განსაზღვრა გულისხმობს საგადასახადო ორგანოს მიერ, კონკრეტული პერიოდისათვის, გადასახადის გადამხდელის სიდიდის შესაბამის კატეგორიაში მოქცევას. საქართველოს ფინანსთა მინისტრის №996 ბრძანების 6[1] მუხლის თანახმად, გადასახადის გადამხდელს საგადასახადო ორგანოს მიერ განესაზღვრება მოცემული 3 კატეგორიიდან ერთ-ერთი:

- მსხვილი
- საშუალო
- მცირე

ცვლილების შედეგად, შეიცვალა მხოლოდ მსხვილ გადამხდელთა კატეგორიისათვის დადგენილი ზღვრები. კერძოდ, გაიზარდა ყველა კრიტერიუმისთვის დადგენილი მინიმალური ზღვარი და განისაზღვრა, რომ მსხვილი გადამხდელია პირი, რომლის მიერ შესაბამისი კატეგორიის განსაზღვრის თვის წინა 12 კალენდარული თვის სავადო თარიღების მიხედვით დეკლარირებული დღგ-ის ბრუნვები, ჯამურად, ტოლია ან მეტია 100 000 000 ლარის, ნაცვლად 80 000 000 ლარისა. გარდა ამ კრიტერიუმისა, მსხვილ გადამხდელად განსაზღვრის სხვა კრიტერიუმებიც შეიცვალა.

ცვლილება ძალაშია 2023 წლის 30 ოქტომბრიდან.

ცვლილება კანონში

2023 წლის 20 ნოემბერს გამოქვეყნდა საქართველოს კანონი 3608-XIIIმს-Xმპ საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ. ცვლილება განხორციელდა სსკ-ის 154-ე მუხლში, რომელიც ეხება გადახდის წყაროსთან გადასახადის დაკავების წესს. კერძოდ, აღნიშნული მუხლის პირველ ნაწილს დაემატა ახალი „რ“ ქვეპუნქტი, რომლის მიხედვითაც სსიპ საპენსიო სააგენტო განისაზღვრა საგადასახადო აგენტად, „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად დასაქმებულისთვის/ფიზიკური პირისთვის მის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე რიცხული საპენსიო აქტივების გადაცემის/გადახდის შემთხვევაში, კერძოდ, იმ ნაწილზე რაც პენსიად არ იწოდება და სქემის მონაწილის მიერ ხორციელდება საპენსიო შენატანის დადგენილ ვადაზე ადრე გატანა. შეგახსენებთ, რომ ცვლილებამდე საგადასახადო აგენტის როლს ასრულებდა დამსაქმებელი.

ცვლილება ძალაშია 2023 წლის 21 ნოემბრიდან.

დაგროვებით საპენსიო სქემაში საპენსიო შენატანების განხორციელების ვადის ცვლილება

2023 წლის 20 ნოემბერს გამოქვეყნდა საქართველოს კანონი „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადა აღნიშნული კანონის მე-3 მუხლმა, რომელიც აღწერს დაგროვებით საპენსიო სქემას. კერძოდ, მე-6 ნაწილში ცვლილებამდე განსაზღვრული იყო, დამსაქმებლის ვალდებულება, რომ საკუთარი სახელითა და ხარჯით, ასევე დასაქმებულის სახელითა და ხარჯით საპენსიო შენატანი განეხორციელებინა დასაქმებულისათვის ხელფასის გადახდისას. ცვლილების შედეგად კი საპენსიო შენატანის განხორციელებისთვის გონივრულ ვადად განისაზღვრა - ხელფასის გაცემიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღე.

ცვლილება ძალაშია 2023 წლის 21 ნოემბრიდან.

ავტორის სვეტი

პუბლიკაციაში მოცემულია ქვეყანაში ბოლო დროს განვითარებული მნიშვნელოვანი საკანონმდებლო და საგადასახადო სიახლეები და ცვლილებები, რომელზეც ყურადღება უნდა გაამახვილოს ბიზნესმა.

გამოცემა ეხება ცვლილებებს ბრძანებაში გადასახადების ადმინისტრირების შესახებ და 2023 წლის 20 ნოემბრის 3608-XIIIმს-Xმპ საქართველოს კანონის მიხედვით საგადასახადო კოდექსში შესულ ცვლილებებს.

მარიამ ხუსკივაძე
MKhuskivadze@bdo.ge

მიხეილ ენუქიძე
MEnukidze@bdo.ge

▸ ვრცლად www.bdo.ge

პუბლიკაცია მომზადებულია კონკრეტულ თემაზე, მაგრამ ზოგადი დებულებების გამოყენებით, ამიტომ განკუთვნილია მხოლოდ ზოგადი სახელმძღვანელოს სახით გამოყენებისთვის. დაუშვებელია კონკრეტული სიტუაციების მოგვარებისათვის ამ პუბლიკაციის გამოყენება, ან მასში მოცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობა პროფესიული კონსულტაციის გარეშე. გთხოვთ, მიმართოთ ბიდიოს პუბლიკაციაში მოცემული საკითხების კონკრეტული სიტუაციებისთვის განსახილველად. შპს ბიდიო საქართველო, მისი პარტნიორები და თანამშრომლები არ იღებენ პასუხისმგებლობას ამ პუბლიკაციაზე დაყრდნობით მიღებული გადაწყვეტილებების შედეგებზე.